

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №70

(საქონლის შესყიდვა)

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი

24 მაისი 2016 წელი

1. ხელშეკრულების მხარეები და შესყიდვის სამართლებრივი საფუძვლები

1.1. ერთი მხრივ, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი (შემდეგში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის ირაკლი კაკულიას სახით და მეორეს მხრივ შპს LNS, მისი დირექტორის მარინა ესებუას სახით, შემდეგში „მიმწოდებელი“ - „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმის განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 24 მაისის №403 ბრძანების შესაბამისად, მხარეებს შორის მიღწეული შეთანხმების გათვალისწინებით, დებენ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში „ხელშეკრულება“).

2. ხელშეკრულების ობიექტის დასახელება, კლასიფიკატორის კატეგორია, ქვეკატეგორია

2.1 ობიექტის დასახელება – საჩუქრების (სუვენირები) შესყიდვა იხ.დანართი №1)

2.2 შესყიდვის საშუალება – გამარტივებული შესყიდვა;

2.3 კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი - 18500000 – სამკაულები, საათები და მონათესავე ნივთები.

კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი - 18530000 – საჩუქრები და ჯილდოები.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 შესყიდვის ობიექტის ღირებულება შეადგენს 158 (ასორმოცდათვრამეტი) ლარს, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

3.2 დაფინანსების წყარო - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრები.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და პირობები

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2016 წლის 25 მაისის ჩათვლით.

4.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველის უფლებამოსილ პირს, შესაბამისი დოკუმენტაცია (მიღება-ჩაბარების აქტი, სასაქონლო ზედნადები და სხვა).

5. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

5.1 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს ამ სფეროში არსებულ, საქართველოში მოქმედ სტანდარტებს, ხელშეკრულების პირობებს და შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

6. ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა

6.1 ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა განისაზღვრება, ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 15 ივლისის ჩათვლით.

7. შესყიდვის ობიექტის ანგარიშსწორების ფორმა და მიღება-ჩაბარების წესი

- 7.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე მიღება-ჩაბარების აქტს ხელს აწერს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი.
- 7.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება - ლარებში.
- 7.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღლო ანგარიშსწორებით - (გადარიცხვა).
- 7.4 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება მოწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუმეტეს 20 (ოცი) საბანკო დღის განმავლობაში.

8. ფორს-მაჟორი

- 8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ადგილობრივი ბიუჯეტის დეფიციტი, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
- 8.2 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

- 9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
- 9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
- 9.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

- 10.1 შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი დაავალოს თანამშრომელს ან თანამშრომელთა ჯგუფს.
- 10.2 ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირების ფუნქციაა მისაწოდებელი ან/და მიწოდებული საქონლის მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა.
- 10.3 ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელება შესაძლებელია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განხორციელებს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური.

11. სხვა პირობები

- 11.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 3 (სამი) ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან ერთი - მიმწოდებელთან, ორი - შემსყიდველთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
- 11.2 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.
- 11.3 აღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული საკითხები რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით.

12. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

„მიმწოდებელი“

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი

შპს LNS

მის: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. №12

მის: ქ. ფოთი, რუსთაველის რკალი, №16
სს „პროკრედიტბანკი“ ფოთის ფილიალი
ბ/კ MIBGGE22

ს/კ № 215138143

ა/ა GE 82 PC0403600100004944

ს/კ 415081958

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი
ირაკლი კაკულია



საჩუქრების (სუვენირები) შესყიდვა

ფასების ცხრილი

№	საქონლის დასახელება	რაოდენობა (ცალი)	ერთეულის ფასი (ლარებში)	საერთო ფასი (ლარებში)	მიწოდების ადგილი
1	ხის გემი	1	50.00	50.00	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი
2	ქალაქის ჩანთა (ყვავილები) 3168 x	4	2.00	8.00	
3	თიხა	1	15.00	15.00	
4	ვერცხლის ნაკეთობა Silver necklace	1	85.00	85.00	
	ჯამი:			158 ლარი	

„შემსყიდველი“

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი



 ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის
 ირაკლი კაკულაძე

„მიმწოდებელი“

შპს LNS



 დირექტორი
 მარინა ესებუა

დამოწმებულია
 ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის
 ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი


 ზვიად შუბითიძე



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №403



ქსე

ქ. ფოთი

„ 24 „ მაისი 2016 წ.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში, თურქეთის რესპუბლიკის ქალაქ ფაზარის დელეგაციის ვიზიტთან დაკავშირებით, გასატარებელი ღონისძიებების შესახებ.

2016 წლის 25-26 მაისს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტს ორდღიანი ვიზიტით, ეწვევა თურქეთის რესპუბლიკის ქალაქ ფაზარის დელეგაცია. ვიზიტის მიზანია, ქალაქ ფაზარსა და ქალაქ ფოთს შორის მჭიდრო კულტურულ-ეკონომიკური თანამშრომლობის დამკვიდრება და შემდგომში ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის განვითარების საკითხის შესახებ მსჯელობა. სტუმრები ასევე მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებებში. დელეგაციის შემადგენლობაში იქნებიან თურქეთის რესპუბლიკის ქალაქ ფაზარის მერი აჰმეტ ბასა და მისი წარმომადგენლები.

„საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს N672 ბრძანების შესაბამისად, წარმომადგენლობითი ხარჯები გულისხმობს, როგორც საქართველოს მოქალაქეებზე გაწეულ წარმომადგენლობით ხარჯებს, აგრეთვე, იმავე ღონისძიების ფარგლებში უცხოელ სტუმრებზე გაწეულ ხარჯებსაც. აღნიშნული კატეგორია მოიცავს მიღებასა და სხვა ღონისძიებებს, სუვენირების შექმნა/დამზადებას, სხვა დანარჩენ წარმომადგენლობით ხარჯებს.

ზემოხსენებული ვიზიტის ორგანიზებასთან დაკავშირებით, მიზანშეწონილია ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლობითი ხარჯის მუხლიდან, თურქეთის რესპუბლიკის დელეგაციის ვიზიტთან დაკავშირებით, გამოიყოს თანხა 2956,00 (ორიათას ცხრაასორმოცდათექვსმეტი) ლარი, კერძოდ: თურქეთის რესპუბლიკის ქალაქ ფაზარის დელეგაციის წარმომადგენლებისთვის, საჩუქრების შესაძენად, ასევე სტუმრების სასტუმროთი და კვებით უზრუნველყოფის მიზნით.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის, „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლობითი ხარჯის მუხლიდან, გამოიყოს თანხა 2956,00 (ორიათას ცხრაასორმოცდათექვსმეტი) ლარი, თურქეთის რესპუბლიკის ქალაქ ფაზარის დელეგაციის წარმომადგენლებისთვის, საჩუქრების შესაძენად, ასევე სტუმრების სასტუმროთი და კვებით უზრუნველყოფის მიზნით, კერძოდ:

- ა) ჩამოსული სტუმრების დაბინავება - 1110,00 (ათას ას ათი) ლარი;
- ბ) საზეიმო ვახშამი ჩამოსული სტუმრებისთვის და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებისთვის - 1118,00 (ათას ას თვრამეტი) ლარი;
- გ) სიმბოლური საჩუქრები ჩამოსული სტუმრებისთვის - 158,00 (ას ორმოცდათვრამეტი) ლარი;
- დ) ქალაქის სიმბოლიკიანი საჩუქრები (გერბები) საპატიო სტუმრებისთვის გადასაცემად - 570,00 (ხუთას სამოცდაათი) ლარს.

2. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვებისა და საბუღალტრო სამსახურის შესყიდვების განყოფილებამ აღნიშნული ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული საქონლისა და მომსახურების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შესყიდვასთან დაკავშირებით, მოამზადოს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება და გაატაროს სათანადო ღონისძიებები.

3. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვებისა და საბუღალტრო სამსახურის საბუღალტრო განყოფილებამ, აღნიშნული საქონლისა და მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებით, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ წარმოდგენილი მიღება - ჩაბარების აქტისა და სათანადო დოკუმენტაციის შესაბამისად, მოამზადოს საბუღალტრო დოკუმენტაცია შემდგომში თანხის გადასარიცხად.

4. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო, ეკონომიკური განვითარებისა და ქონების სამსახურმა უზრუნველყოს ანგარიშსწორება ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვებისა და საბუღალტრო სამსახურის მიერ წარმოდგენილი საბუღალტრო დოკუმენტაციის შესაბამისად.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი



ირაკლი კაკულია

საფუძველი: „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის აგვისტოს N672 ბრძანება და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული სამსახურის 2016 წლის 24 მაისის Nშ/325 მოხსენებითი ბარათი.

ბრძანება ეგზავნება: საქმის წარმოების განყოფილებას, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვებისა და საბუღალტრო სამსახურს (ორი ეგზემპლარი), ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო, ეკონომიკური განვითარებისა და ქონების სამსახურს.

შემსრულებელი
შემსრულებელი ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის
მერიის შესყიდვებისა და საბუღალტრო სამსახური

ბ. კ.